ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 92

"29" დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ. №24-ში (ს/კ. №01.14.08.007.064) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „იქსორის" (ს/კ. 405168946) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ. №24 - ში (ს/კ. №01.14.08.007.064) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „იქსორის" (ს/კ. 405168946) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №21.1853.2078 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. . მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შპს „იქსორის" (ს/კ. 405168946) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 5 აგვისტოს განკარგულება №21.1094.1219) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №403, 2021 წლის 7 სექტემბერი) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი არჩილ ამაღლობელის ქუჩა №24-ში (ს/კ. №01.14.08.007.064) შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე: „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის რეგლამენტების მიუხედავად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე